# ცნობის ფურცელი

№ 2510 ორშაბათი, 31 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2510

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—123)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.
„ლ ა ლ ა ტ ი“
ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხის-მიერ. ვინც 50 კაპ. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (10—9)

ქ. სიღნაღში,
გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ნომრები ყოველ დღე იყიდება სერგო მიხეილის ძე ამირაღოვის მაღაზიაში.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საშვებით და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

ქ უ თ ა ი ს შ ი
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აზორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)
მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—14

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—88)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ბორლანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—12)

## ახალი ამბავი

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა ქალაქის გამგეობას სია იმ ქუჩებისა, რომლებიც უნდა **ირწყვებოდეს**. პოლიცმეისტერი სწერს: ქალაქი ყოველ წლობით ქუჩების სარწყავად ხარჯავს 12,000 მანეთზე მეტს, მაგრამ ეს საქმე რიგიანად მაინც ვერ არის მოწყობილი. პოლიცმეისტერი ურჩევს ქალაქს, დახარჯოს ერთად 12,000 მანეთზე ცოტა მეტი და უმთავრეს ქუჩებში გაიყვანოს წყლის მილი სარწყავად.

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭოს** დღეს, 31 მაისს, განსახილველად აქვს შემდეგი საქმეები: განცხადება ხმ. გრიქუროვისა კომისიის ამორჩევის შესახებ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია ქალაქის ტეხნიკოსთა და არქიტექტორთა სახელმძღვანელოდ; მოხსენება ქალაქის მიწების მეთვალყურე კომისიისა ქალაქის მიწების დასაცავად ზომების მიღების შესახებ; განცხადება ხმ. სურენიანცისა საჰიდრავლიკო სადგურის აშენების შესახებ და სხვა.

◆ ტფილისის **სახაზინო პალატასა** და ტფილისის გუბერნიის სახაზინოებში პირველ ივნისიდან პირველ სექტემბრამდე მუშაობა დაიწყება დილის 8 საათზე და დამთავრდება ნაშუადღევის პირველზე.

◆ კავკასიის წყლების ინსპექტორმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს: თიანეთის (გორის მაზრა) სოფლის მკვიდრნი დაბეჯითებით თხოულობენ მდ. სურამულას გამაგრებას და სოფლის დაცვას. ამ საქმისთვის კი როგორც ჩვენმა ინჟინერ-ჰიდრავლიკმა გამოიკვლია, კარგა ბლომად ფული საჭირო, ამიტომ გთხოვთ მაცნობოთ, მკვიდრნი რამდენს ფულს გაიღებენ, რომ ამ საქმეს შევუდგეთო.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ ამას წინად ქალაქის გამგეობას გუბერნატორისაგან მოუვიდა მოწერილობა, რომლითაც წინადადებას აძლევდა, მიეწოდებინა გუბერნიის სასტატისტიკო კომიტეტისთვის სხვა-და-სხვა ცნობები. ამ მოწერილობის გამო ქალაქის გამგეობამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა სასტატისტიკო კომიტეტს. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, ქალაქი თითქმის ყოველის მხრით ცუდს მდგომარეობაშია: ქალაქს აქვს მხოლოდ ერთი საავადმყოფო, სადაც 15 საწოლია; აქვს მხოლოდ ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი; არა აქვს საკრედიტო დაწესებულება, თავშესაფარები, სამუშაო სახლები, წყლისაყვანი, ელექტრონის ტრამვაი, გაუმჯობესებული განათება, ტელეფონი; არ უვარგა ქუჩები, არა აქვს მოედნები და სხვ. ყველა ამას ქალაქის გამგეობა ხსნის ქალაქის სიღარიბით და ამ არა სასურველ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ სცნობს—ერთის მხრით—შემოსავლის სხვა-და-სხვა წყაროების გაძლიერებას და—მეორეს მხრით—ზოგიერთ ხარჯების შემცირებას. რადგან ქუთაისი დაშორებულია ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს ლიანდაგს, იმისი ვაჭრობა-მრეწველობა ძლიერ შეფერხებულია. ქალაქს არა ერთხელ აღუძრავს შუამდგომლობა ქუთაისზე უმთავრეს ლიანდაგის გაყვანის შესახებ, მაგრამ მთავრობას არ შეუწყნარებია. უკანასკნელად უთხოვნია, რკინის გზის მეორე ლიანდაგს—სადგურ მიხაილოვიდან სამტრედიამდის—პირდაპირ ქუთაისზე გაევლო. „ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ძირიანად-შესცვლის ქალაქის მდგომარეობის პირობებს“-ო, ნათქვამია მოხსენებაში. შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებაც, რომ ქალაქის სასარგებლოდ შემოღებულ იქმნას ეგრედ წოდებული „საფუთო გადასახადი“. ამ შუამდგომლობისათვის მთავრობას თანაგრძნობით შეუხედავს, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. საავადმყოფოს დასაარსებლად ქალაქს უთხოვნია სამინისტროსთვის უსარგებლო სესხი 50,000 მანეთი. თუმცა ჯერ არც ამ შუამდგომლობაზე მიუღია ქალაქს გადაწყვეტილი პასუხი, მაგრამ დიდი იმედი კი აქვს, რომ მთავრობა ან შუამდგომლობას შეიწყნარებს, ან როგორც ბევრს სხვა ქალაქში, ქუთაისშიაც თვითონ გახსნის საავადმყოფოს. მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების გასავრცელებლად გამგეობა საჭიროდ სცნობს დაარსდეს ქუთაისში ვაჟთა მეორე გიმნაზია და სხვა სასწავლებლები, მით უმეტეს ეხლა, როდესაც მთავრობის განკარგულებით ქუთაისის სასულიერო სემინარია დაიხურა. ქალაქის კეთილმოწყობილების სხვა-და-სხვა მხარეთა გასაუმჯობესებლად საბჭოს აღუძრავს შუამდგომლობა 475,000 მანეთის საობლიგაციო სესხის აღების შესახებ. ამავე აზრით აღძრულია შუამდგომლობა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ქალაქს გადაეცეს ქალაქში მდებარე ზოგიერთი სახაზინო ადგილი. სხვათა შორის, ეგრედ წოდებული „წყალთა-შუა“, სივრცით სამ-ნახევარი დესიატინა, რომელიც ქალაქს სჭირდება ქუჩისა და მოედნისათვის. რუსეთის ბევრ ქალაქის მსგავსად, ქუთაისსაც არა ერთხელ აღუძრავს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე შესახებ იმისა, რომ ქალაქი გაენთავისუფლებინათ პოლიციის შესანახავ და ჯარების საბინაო გადასახადისაგან, რომელიც ქალაქს მძიმე ტვირთად აწევს. უკანასკნელი სამი შუამდგომლობა მთავრობის მიერ ჯერ გადაუწყვეტელია. დასასრულ, ქალაქის შემოსავლის გასაძლიერებლად გამგეობა სასურველად სცნობს, რომ სახელმწიფო საბინაო გადასახადის ნაწილი მაინც გადაეცეს თვითმართველობას, როგორც ეს ქალაქ პეტერბურგს გადაეცა.

◆ ქალაქის გამგეობამ ჩაიბარა საღორიის აგარაკში მოჭრილი 350 საჟენი შეშა და ამ მოკლე ხანში შეშის გაყიდვაც დაიწყება. ადგილზე—ტყეში—დაწყობილი შეშა ეღირება წელსაც 12 მანეთად თითო საჟენი.

## რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ცარიც. ვესტნ.“-ში შემდეგი სამწუხარო ამბავია მოთხრობილი. 18 მაისს ცარიცინის ერთ ქუჩაზე მთვრალ ხალხს მოუყრია თავი. დაუნახავთ თუ არა ამ ქუჩაზე მიმავალი ვიღაც გრძელ-თმიანი სტუდენტი, საშინელი ყვირილი და სტვენა აუტეხნიათ: „იაპონელია, არ გაუშვათ, დაიჭირეთ იაპონელიო! შეხედეთ ხელში წიგნები და ქაღალდები უჭირავს, ნამდვილად ჯაშუში უნდა იყოსო!!“ საბრალო სტუდენტმა, ხალხის ყვირილი რომ გაიგონა, სიარული უმატა და ბოლოს გაიქცა, რადგან გაშმაგებული ბრბო გამოედევნა დასაჭერად. როგორც იქნა, გადაურბენია სტუდენტს ქალაქის მოედანი, ბოქაულის სამმართველოში შევარდნილა და ამნაირად გადარჩენილა.

◆ გაზ. რუს. სლოვო“-ს აუწყებენ ტელეფონით, რომ პეტერბურგში ექსპერტებს გაუსინჯავთ შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნათ დამზადებული ხორცის კონსერვები და უმეტესი ნაწილი გაფუჭებული, უვარგისი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი გამოდგარა. სულ 500 ათასი ყუთი კონსერვი ყოფილა დამზადებული გასაგზავნად.

◆ ციმბირის ქ. ჩიტაში მეყასბეებს ძლიერ აუწევიათ ხორცის ფასი. ერთ მდიდარ მეყასბეს გვარად ლონგოცკის, შეუსყიდია იმიერ ბაიკალის მხარეში ხორცი წვრილ-წვრილ ვაჭრებისაგან, თავის საყინულეებში ინახავს და მამა-სისხლის ფასად ჰყიდის თურმე. ეს გარემოება მანჯურიის არმიის მთავარ-სარდლისათვის უცნობებიათ, რომელსაც დაუდგენია, დაეჭირათ ხორცით მოვაჭრე ლონგოცკი და ტობოლსკში გაეგზავნათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ საცხოვრებლად ომის გათავებამდის. გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა ბრძანება გასცა აგრეთვე, „თუ ვაჭრებმა მოხერხებულად ხორცის ფასის აწევა მოიწადინეს, უნდა გამოერთვათ იმათ საქონელი და საჯარო ვაჭრობით გაიყიდოსო“.

◆ გაზ. „რუსსკ. ვედ.“-ს სწერენ, რომ რიაზანის გუბერნიის 7 მაზრაში მოხდა მობილიზაცია და თავ-მოყრილ ჯარს ამ მოკლე ხანში შორეულ აღმოსავლეთში ჰგზავნიან. გუბერნიის ორ მაზრას ყველაზე უფრო მეტად დასტყობია სათადარიგო ჯარის-კაცთა გაყვანა, თითქმის ყველა მოზრდილი მუშა-კაცები და ცხენები წაუყვანიათ, ასე რომ დარჩენილ ოჯახებს დიდი გაჭირვება მოელისთ.

◆ თავადი მეშჩერსკი ბევრს ეცადა, რომ თავისი ორგანო „დრუჟესკია რეჩი“ გაევრცელებინა ხალხში და ამ ბოლო დროს ერთი თანამგრძნობი საერობო უფროსი ამოსჩენია. გაზ. „ს.-პეტ. ვედომ.“ სწერენ დოროგობუჟის მაზრიდან, რომ ადგილობრივ საერობო უფროსებს ბრძანება მიუციათ სოფლის მამასახლისებისთვის,—„უეჭველად უნდა გამოიწეროთ თავ. მეშჩერსკის ორგანო და ხალხში გაავრცელოთო“.

◆ მოსკოვში შემოდგომაზე გაიხსნება ფრანგთა საზოგადოების „ალიანს ფრანსეზ“-ის განყოფილება, რომლის მიზანია ფრანგული ენის გავრცელება რუსთა შორის.

### ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება
### 27 მაისი
(გაგრძელება*)

ს. დ. ჯაფარიძე საჭიროდ სთვლის, გამგეობამ მეტის სიფრთხილით დაიგირაოს ტფილისის გუბერნიის მამულები; ტფილისის ბანკის ანგარიშიდან სჩანს, რომ ეხლანდელ კრიზის დროს ბანკს ბევრი მამული რჩება; თუ ტფილისელი მემამულენი ჩვენს ბანკში აგირავებენ მამულს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტფილისის ბანკს არ მიუღია მათი მამული და შემდეგ ჩვენთან აგირავებენ, თორემ ხარჯის მეტს რა სარგებლობას ნახულობენ ჩვენს ბანკში მამულის დაგირავებით, როდესაც დაგირავების პირობები ორსავე ბანკში ერთი და იგივეაო.

გამგეობის წევრმა ვ. ნ. აბულაძემ განმარტა, რომ ბანკი მართლაც დიდის სიფრთხილით ეკიდება ტფილისელ მამულების დაგირავებას; ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბანკმა ტფილისის 83 მამულიდან დაიგირავა მხოლოდ 39; 44 მამული კი აღარ დაგვიგირავეს, რადგან ჩვენგან გადაწყვეტილი სესხი ეცოტავათ და ისევ ტფილისის ბანკს მიმართეს, სადაც მეტი სესხი მისცესო.

ბანკის გამგეობა თავის მოხსენებაში სთხოვს კრებას დადგენილ იქმნეს, რომ ბანკმა დაიგირავოს მხოლოდ გამიჯნული სოფლის მამულები, რადგან გაუმიჯნავი მამულები ხშირად იკარგება, მათ სხვები იფლობენ და ზომითაც ცნობაში ძნელი მოსაყვანია; იყო ისეთი მაგალითები, რომ 14 ქცევის გირაოთ მიღებულ მამულის ადგილზე მხოლოდ სამი ქცევა აღმოჩნდა; ისეთი მაგალითიც იყო, რომ სულ ვერ ვიპოვეთ დაგირავებული მამულიო! ამ გარემოებას გამგეობა იმითა ხსნის, რომ ან მსესხებლები სხვის ადგილებს ითვისებდნენ და თავისად უჩვენებდნენ დამფასებელ კომისიას, ან მერმე დაიფლეს სხვებმაო.

გამგეობის აზრს ეთანხმებიან თავ. დ. გ. წულუკიძე და ს. დ. ჯაფარიძე. თავ. აფაქიძე, გ. ჩიჩუა,

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2509.

ჯ. დ. გურიელი და სხვანი საჭიროდ სთვლიან, რომ ისევ ძველი წესი დარჩეს: თუ გაუმიჯნავი მამულები არ დაიგირავა ბანკმა, მაშინ ვერც ერთი სოფლის მამული ვერ ეღირსება დაგირავებას, რადგან ამას დიდი დრო და ხარჯი სჭირდება; ეს კი სოფლელებს არ შეუძლიათო.

გრ. ი. გველესიანი: როგორც მოხსენებიდან სჩანს, ბანკს ძლიერ ცოტა სოფლის მამული დაუგირავებია; სადგილ-მამულო ბანკი კი უფრო სოფლელებისთვის, მიწის მწარმოებლებისთვის, არის დაარსებული და მათ უნდა უწევდეს სამსახურს. სოფლელებს ხელმოკლეობის გამო ეხლაც ძლიერ უჭირთ მამულის დაგირავება, რადგან საჭირო ხარჯები ვერ გაუწევიათ; და თუ კიდევ მოსთხოვეთ მათ დასაგირავებელ მამულის გამიჯვნა, ამას ხომ სულ ვერ შესძლებენ და ვერც მამულს დააგირავებენო.

კარგა ხნის კამათის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას—დავამტკიცოთ თუ არა ანგარიშიო. უმეტესობა იმ აზრის იყო, რომ ანგარიში დამტკიცებულიყო, მაგრამ, რადგან ბევრმა ისურვა ანგარიშის დამტკიცების გადადება, რომ უფრო დაახლოვებით გავეცნოთო, ეს კითხვა 28 მაისისათვის გადაიდო.

ამგვარადვე გადადებულ იქმნა მდგომარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაც. კრებამ ერთხმად მიიღო გამგეობის მიერ შემუშავებული წესდების 34 §-ის ახალი რედაქცია.

შემდეგ დაუსრულებელი კამათი გამოიწვია თავ. ა. გელოვანის განცხადებამ, ვითომც გამგეობა უსამართლოდ მოქცეოდეს თავ. ა. ლორთქიფანიძეს, რომელსაც ჰსურვებია ბანკზე დარჩენილ ადგილის ყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ თავ. ლორთქიფანიძე 51 მანეთს იძლეოდა ქცევაში და გირაოდაც 25 თუმანს არდგენდა, ბანკმა უპირატესობა მაინც გლეხებს მისცა და ადგილიც მათ მიჰყიდა, ქცევა 50 მანეთად და გირაოდ 16 თუმანს დასჯერდა.

როგორც ზედამხედველ კომიტეტის წევრის ს. დ. ჯაფარიძის განმარტებიდან აღმოჩნდა, ამ ადგილის საქმე ასე ყოფილა: ბანკს დარჩენია ეს ადგილი 1889 წელში; 1900 წლამდის ადგილს თურმე არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა; ამ წელში-კი ადგილი ივ. ლორთქიფანიძეს დაურჩენია, მაგრამ, რადგანაც მას პირობა არ შეუსრულებია ბანკისათვის, ადგილიც ჩამოურთმევიათ. 1904 წლის 22 მარტს გამგეობას მოუხდენია ვაჭრობა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია ერთის მხრით 40-მდე გლეხს და მეორეს მხრით თავ. ა. ლორთქიფანიძეს. პირველთ შეუძლევიათ უკანასკნელათ 41 მან., მეორეს-კი—41 მან. და 50 კაპ. ბანკის გამგეობას საზარალოდ უცვნია 41 მან. 50 კაპეიკში ადგილის გაყიდვა და ვაჭრობა არ დაუმტკიცებია. მეორე დღეს, ე. ი. 23 მარტს, გლეხებს შეუძლევიათ ქცევაში 50 მანეთი; გამგეობაც დაკმაყოფილებულა ამ ფასით და ადგილი გლეხებისათვის დაუტოვებია. ამ დადგენილების შემდეგ თავ. ლორთქიფანიძეს უთხოვნია, 51 მანეთად მე მომეცით ადგილიო. რადგან გამგეობას შეუძლებლად უცვნია გლეხებისაგან ადგილის ჩამორთმევა, თავ. ლორთქიფანიძისათვის უარი განუცხადებია. შემდეგ უკანასკნელს საჩივრით მიუმართავს ზედამხედველ კომიტეტისათვის გამგეობის დადგენილებაზე. კომიტეტს წინადადება მიუცია თავ. ლორთქიფანიძისათვის, თუ გირაოდ 400 მანეთს შემოიტან, შენ მოგცემთ ადგილსო. უკანასკნელი ამ პირობაზე არ დათანხმებულა ადგილი ისევ გლეხებს დარჩენია.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, როგორც ბანკის საქმეებიდან აღმოჩნდა და ცნობილმა ვექილებმაც განმარტეს, დამტკიცდა, რომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი, როგორც იურიდიულის, ისე ზნეობრივის მხრით ძლიერ კანონიერად და სამართლიანად მოქცეულან, რომ ადგილი გლეხებისათვის დაუმტკიცებიათ.

ამის შემდეგ სხდომა 28 მაისის დილის 10 საათამდის გადაიდო.

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 მაისი

**მუკდენი.** ჩინელ მცხოვრებთა შორის განუწყვეტლივ ხმა დადის, რომ პორტ-არტურთან 4 დღის განმავლობაში გამწვავებული ბრძოლა იყო, რომელშიაც იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათო. ამბობენ აგრეთვე, რომ იაპონიის ფლოტმა კიდევ დაჰკარგა გემებიო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობა აცხადებს: „ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალეთის მთავრობამ რუსეთის ფლოტს დარდანელში გასვლის ნება მისცა, სრულებით სიმართლეს მოკლებულიაო".

**ჩიფუ.** („რეიტ. სააგ."). პორტ-არტურში მყოფ უცხოელ ვაჭრებისაგან მიღებულ წერილებში ნათქვამია, რუსეთის მოხელეებს მიმართეს თხოვნით იმის შესახებ, რომ ნება მისცენ ნორვეგიის გემს „სენტის"-ს პორტ-არტურიდან გაიყვანოს უცხოელები, რომელნიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას არ იღებენ. შესაძლებელია, რომ ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას. თხოვნიდან სჩანს, რომ ნავთ-სადგურის გასავალი თავისუფალია, რადგან „სენტისი" დიდი გემია და ომის დაწყებიდან დგას პორტ-არტურში. იალუს ნაპირებზე მცხოვრები ჩინელები იუწყებიან, რომ იაპონელები სამჯერ უკუ-ქცეულ იქნენ და მხოლოდ შემდეგ მოახერხეს ფინხუანჩენს იქით გადასვლაო.

**სეული.** („რეიტ. სააგ."). რუსებმა გაილაშქრეს კაპსანიდან და დაიჭირეს პატარა ქალაქი ჩანჩჟინთან. ყაზახების ყველა რაზმებმა დაიწყეს ხანჩენის ჩრდილოეთისკენ; ერთი რაზმი ჯერ კიდევ სენჩენშია.

30 მაისი

**ტოკიო.** დალნის დაჭერის დროს იაპონელებს ყოვლის უწინარეს ცეცხლის ჩაქრობა დასჭირდათ. ცეცხლისაგან განადგურებულია თითქმის ქალაქის მეხუთედი ნაწილი. ქალაქისა და მართებლობის შენობანი, სკოლები და რკინის გზის სადგური ცეცხლმა გაანადგურა. ფოსტა და ტელეგრაფი დაუზიანებელია. იაპონელმა ინჟენერებმა ააფეთქეს ბევრი ნაღმი, რომლებიც ქუჩებზე დაეწყოთ რუსებს.

**ლონდონი.** („რეიტ. სააგ."). ვაშინგტონის მთავრობამ არ იცის, რომ იაპონიას მიჰყიდეს წყალ-ქვეშ მავალი ნავი „პროტექტორი", სახელმწიფო დეპარტამენტში მოსამსახურენი კი აცხადებენ, რომ ეს საკითხი უმნიშვნელოაო. რადგან სახელმწიფო სეკრეტარმა ფიშმა განმარტა, რომ ნაღმიანი ნავი, რომელიც გემზე დაიდება, საქონლად უნდა ჩაითვალოს, და ეს საქონელი შეუძლიათ ნეიტრალიტეტის დაურღვევლად მიჰყიდონ მებრძოლ სახელმწიფოს, თუმცა უკანასკნელთა მტრებს შეუძლიათ ხელში ჩაიგდონ იგიო.

29 მაისი

**ბერნი.** დაჭრილმა რუსეთის ელჩმა დამე კარგად გაატარა. ციების ნიშნები არ ეტყობა. საშიში არაფერია.

**პარიზი.** რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ ზოგიერთ გერმანულ გაზეთების საპასუხოდ, რომელნიც ამტკიცებენ, რუსეთ-საფრანგეთის კავშირი შესუსტდაო, „კორრესპონდენც პოლიტიკში" წერილი დაბეჭდა იმის შესახებ, რომ ამ კავშირს არას დროს არ ჰქონია ასეთი გულწრფელი ხასიათი, როგორც დღეს აქვსო.

**ტამბოვი.** საგუბერნიო საბჭომ დაასრულა მუშაობა და აარჩია ხუთი მცირე კომისია საკითხთა დაწვრილებით განსახილველად. შემდეგი სხდომა ნოემბერში იქნება. პრინციპიალურად საჭიროდ სცნეს ვოლოსტის სასამართლოს უფლებათა შეზღუდვა და ამ სასამართლოსათვის, სისხლის სამართლის და სამოქალაქო განსაკუთრებულ კანონთა კრებულის გამოცემა. საბჭოს აზრით, სანადელო მიწების მფლობელობა საერთო უნდა დარჩეს, მხოლოდ გაადვილებულ უნდა იქნას კერძო-მესაკუთრეობაზე გადასვლა, განსაზღვრულ უნდა იქნას ნადელები, მოსპობილ უნდა იქნას მამულების ნაწილ-ნაწილად დაყოფა, საგლეხო გამიჯვნის საქმეები საგლეხო დაწესებულებათ უნდა გადაეცეს, სანამ შეცვლილ იქმნება სასამართლოებში სამიჯნო საქმეთა განხილვის არსებული წესი, რომლის გამო საქმის წარმოება დიდ-ხანს გრძელდება და ძვირად ჯდება. საბჭომ ერთხმად მიიღო პლევაკოს შემდეგი წინადადება: ვოლოსტის სასამართლოსათვის განზრახულ კანონთა კრებულში უნდა შეტანილ იქმნას ერთი ახალი თავი უსამართლო დადგენილებათა განსაზღვრებისა და მსაჯულთა პასუხის გების წეს-რიგის შესახებ.

**კოსტრომა.** საგლეხო კანონმდებლობის განსახილველად შემდგარმა საბჭომ საჭიროდ სცნო ვოლოსტის სასამართლოს გაუქმება და სამ სხვა-და-სხვა გვარ სოფლის ყრილობათა დაწესება: ადმინისტრატიულისა, რომელიც რამდენიმე სოფელს შეიცავს, სამეურნეოსი, რომელიც საზოგადოების ინტერესებს იცავს და სასოფლოსი, რომელიც თავის სოფლის საჭიროებათა შესახებ ზრუნავს.

**პარიზი.** დღევანდელ სხდომაზე მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა შენიშვნაზე საპასუხოდ განაცხადა, რომ ორი თვით წინ, სანამ მე და ჩემ შვილს დაგვწამეს კარტეზიანელებისაგან მილიონი ფრანკი ქრთამის აღება, ორი მილიონი ფრანკი მაძლიეს, რათა მათთვის სასარგებლო კანონ-პროექტი წარმომედგინა. პალატამ დაადგინა დანიშნულ იქნას კომისია ამ საქმის განსახილველად.

30 მაისი

**სოფია.** (ოპოზიც. წრეებ.). შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც აცხადებს, რომ 1 ივნისიდან სერბიიდან მოსულ ან სერბიაში მიმავალ მგზავრებს გზის ფასი არ გადახდებათ და თავისუფლად შეუძლიათ იმგზავრონ.—ფინანსთა სამინისტროში სავაჭრო ხელშეკრულობისათვის საჭირო მასალას ამზადებენ. ამ სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, იმის შესახებ, რომ მაკედონიიდან გადახვეწილნი, რომელნიც ბოლგარიაში რჩებიან, ბოლგარიის ქვეშევრდომებად იქნებიან ჩარიცხულნი, მაშასადამე სამრეწველო გადასახადი უნდა იხადონ.—ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნილებით, ქ. სოფიას პოლიციამ გამოძიება მოახდინა და ჩვენება ჩამოართვა ბოყიდაროვს, რომელსაც ბრალსა სდებენ, რომ მან გაჰგზავნა დინამიტი ბოლო დროს სალონიკთან მომხდარ აფეთქებისათვის. გამოძიება უნაყოფო იყო.

**კოვნა.** კოვნას ქალაქის მმართველობას სურს დაუბრკოლებლად გაანაღდოს ნება-დართული საობლიგაციო სესხი—450 ათასი მან. ნებართვაა მიღებული, რომ თვითეულ ძაღლზე 1 მან. გადასახადი დაადონ პატრონთ. ქალაქის საბჭო შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ ველოსიპედებზედაც იქნას შემოღებული გადასახადი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# განცხადებანი

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები"-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების.
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა"
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი"
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. (ე—142—10)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН.

СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—30)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემი სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—25) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელერ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346

ერევნის მოედანი. (60—5.—42)

Доз. ценз. 30 Мая 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—тва.